ბორისპოლისა და ბროვარის მიტროპოლიტი ანტონი: ახლა ეკლესიის რწმენისთვის უცხო „ნეომართლმადიდებლობა“ იქმნება



უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა მმართველმა ბორისპოლისა და ბროვარის მიტროპოლიტმა ანტონიმ აღნიშნა, რომ მართლმადიდებელი უკრაინელებისთვის ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჭეშმარიტი რწმენის ერთგულება შეინარჩუნონ, როცა ეკლესიის სწავლებაში ცდილობენ მისთვის უცხო სიახლის შემოტანას.

უკრაინაში ეკლესიური სიტუაცია – ეს არა მხოლოდ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის გადარჩენის საკითხია, არამედ კატალიზატორია მთელს მსოფლიოში არსებული სიტუაციისა, როცა ცდილობენ ეკლესიას თავს მოახვიონ „ნეომართლმადიდებლობა“, – განაცხადა მიტროპოლიტმა ანტონიმ საინფორმაციო ტელეარხ „Перший незалежний“-სთან კომენტარებში.

მეუფე ანტონის სიტყვებით, მართლმადიდებელი რწმენისადმი ერთგულება ყოველთვის ეხმარებოდა უკრაინელებს შეენარჩუნებინათ თავიანთი იდენტურობა, მაგრამ ამჟამად ამ ერთგულებაზეა დამოკიდებული სიტუაცია მთელს მართლმადიდებლურ სამყაროში.

„ახლა მართლმადიდებლურ სამყაროში ჩვენ ვხედავთ ტენდენციებს, როცა იცვლება პრონციპები კანონიკური სამართლის, დისციპლინური ცხოვრებისა და უკვე რწმენის პრინციპებიც კი – იმისთვის, რომ აქცენტები იქნეს გადატანილი, – აღნიშნა მიტროპოლიტმა. – იმასაც კი ვიტყოდი, რომ იქმნება რაღაც ახალი „ნეომართლმადიდებლობა“, რომელიც საერთოდ უცნობია მართლმადიდებლური ეკლესიისთვის. ამიტომ მართლმადიდებელი უკრაინისთვის ეს უკვე არის არა მხოლოდ ჩვენი, როგორც უკრაინაში მართლმადიდებელი ადამიანების გადარჩენის საქმე – ჩვენ ახლა წარმოვადგენთ საერთოდ მართლმადიდებლურ სამყაროში სიტუაციის კატალიზატორს“.

მრავალი უმზერს უკრაინას, თუ როგორ განვითარდება ეკლესიური სიტუაცია, – აღნიშნა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა მმართველმა. „ჩვენი ხალხი, მადლობა ღმერთს, უმეტესად არის უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთგული და ის ამას ადასტურებს „თავისი ფეხებით“, იმიტომ რომ ადამიანები დადიან ტაძრებში, ათასობით, ასი ათასობით მიდიან ჯვრით მსვლელობაზე, – ბრძანა მან. – სწორედ ეს არის მოწმობა [უკრანის მართლმადიდებელი ეკლესიის მხარდაჭერისა] იმ შეკვეთილი სოცგამოკითხვების საწინააღმდეგოდ, რომლებიც ხელოვნურად იქმნება ჩვენი საზოგადოების დასარწმუნებლად რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია რაოდენობრივად მცირდება, რომ არ არიან ჩვენი მომხრეები“.

მიტროპოლიტი ანტონის სიტყვებით, ტაძარი, ღვთისმსახურება, ჯვრით მსვლელობა – ყოველივე ეს ამოწმებს ჭეშმარიტი ვითარებას უკრაინულ მართლმადიდებლობაში, რამეთუ უკრაინელების უმრავლესობა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლია“.

მართლმადიდებელ ჟურნალისტთა კავშირი/

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87872/